



შეთანხმება ცაცხლის
შანყვადის
პასახებ დარღვეულია

A3



მოდიოთ,
დავლიოთ კარბად!

A7



ბოლოს და ბოლოს
დანიშნულია!

A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

ორგანო, 18 ივლისი, 2005 წელი. №161 (1021)

ფასი 50 თეთრი

აშხაზი

განახლებული
სამარშრუტო
სქემა
"მარშრუტების"
სასარგებლოდ

გარკვეული მიზეზების გამო,
დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსების
რიცხვი, ალბათ, აღარ შემცირდება.

A2

აშხაზი

ბოროტების
იდოლოგიის
შემოტყვა

ბრიტანეთის პოლიციამ დაახლოებით
დღევანდელ დღეებში ბოლო ორი
თვითკვლევის ვინაობა.

A3

ეკონომიკა

რას გაყიდის
ამ კვირაში
ეკონომიკის
სამინისტრო?

ამ კვირაში ეკონომიკური განვითარების
სამინისტრო გასაყიდად კიდევ რამდენიმე
ობიექტს ამზადებს, მათ შორის -
რამდენიმე, აუქციონზე სამინისტროს უკვე
მეორედ გამოაქვს.

A4

რევიუ

ოსტორნების
საოჯახო
ბიზნეს-სარიალი
ბრძოლა

A7

საორტი

საფხაურთა
თაქვსმართობა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თავისი გაიტანა: ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, რომელიც სტარტს 30 ივლისს აიღებს, 16 გუნდი იასპარეზებს.

A8

აზიზი

	18/07	19/07
თბილისი	36	37
ტყიბული	30	31
სოხუმი	30	30
დმანისი	27	27
გორი	29	30
ონი	26	26
ზუგდიდი	32	33
ახმეტა	35	36
ბაბრა	27	27
სამტრედია	32	32

უცხოური ვალუტის
ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8175
ევრო	2.2050
ბრიტანული სტერლინგი	3.2868
რუბლი	0.0636

აშხაზი	A 2
აშხაზი	A 3
ეკონომიკა	A 4
თავდაცვის	A 5
ტანდარი	A 6
რევიუ	A 7
საორტი	A 8

დღე მთავარი და დღე მთავარი

ერთიანი ეროვნული გამოცდების დღეური

16 და 17 ივლისი "დასვენების" დღეები იყო: აბიტურიენტები უცხო ენის გამოცდისთვის ემზადებოდნენ, საინფორმაციო ტექნიკური ჯგუფი სწრაფი სკანერით ზოგადი უნარების საგამოცდო ნამუშევრების შემოწმებას შეუდგა, ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ნამუშევრების გამოსწორებები დილიდან დალამბებდნენ, სააპელაციო ჯგუფი მუშაობდა, მედია ცენტრში კი საინფორმაციო "ასორტი" განუწყვეტილ კომპლექტდებოდა. აი, ზოგადი სურათი, როგორ ისვენებდა ერთიანი ეროვნუ-

ლი გამოცდები შაბათ-კვირას. დღეს უცხოელი დამკვირვებლების დიდი ჯგუფი ჩამოდის და 14 საგამოცდო ცენტრში განაწილდება. დღეს და ხვალ, 18 და 19 ივლისს, ტარდება გამოცდა უცხო ენებში. 18 ივლისს გამოცდას აბარებენ ის აბიტურიენტები, რომლებმაც რეგისტრაციის დროს უცხო ენად ინგლისური ან ფრანგული მიუთითეს, 19 ივლისს კი ის აბიტურიენტები, რომლებმაც - რუსული ან გერმანული. აბიტურიენტები, რომლებიც რუსულენოვან ფაქულტეტებზე აბარებენ, უცხო ენად რუსულს არ აბარებენ.

18 და 19 ივლისს პირველი სესიისთვის რეგისტრაცია დაიწყება 9 საათზე, გამოცდა - 10 საათზე, და დასრუდება 12 საათზე. მეორე სესიის რეგისტრაცია დაიწყება 14 საათზე, გამოცდა - 15 საათზე და დასრუდება 17 საათზე. 18 ივლისს ერთიანი ეროვნულ გამოცდებს დაასრულებს 11 500-მდე აბიტურიენტი, 19 ივლისს - 8 500-მდე აბიტურიენტი, ანუ ისინი, ვინც რეგისტრაციისას მიუთითეს ფაქულტეტები, რომლებზეც ჩასარიცხად მხოლოდ სამი გამოცდის ჩაბარება იყო აუცილებელი. ხოლო 12 000-მდე აბიტურიენტი 21 ივლისს, მათგან 24 საათი

კაში გამოცდის ჩაბარების შემდეგ საგამოცდო მართონ დაასრულებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთხელ შეახსენებს აბიტურიენტებს, რომ ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი, გვარი ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება, არ გასწორდება. შავი ნაშრომი სწორდება იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ვერ მოასწრებს მის გადათეთრებას. და კიდევ, არ დაგვიანოთ გამოცდებზე, ჩაიხედეთ საგამოცდო ბარათში!

24 საათი

კონკურსი დაიწყო

მერიის ახალ თანამშრომლებს ვერავენ გაათავისუფლებს

თამარ დვალის

დღეიდან თბილისის მერიისა და საკრებულოში არსებულ 672 ვაკანტურ თანამდებობაზე საბუთების მიღება იწყება. ამის შესახებ გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. დაინტერესებულ პირებს სრული ინფორმაციის მიღება დიდებუში, საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიას" მეთერთმეტე პავილიონში შეუძლიათ. იმისათვის, რომ თქვენთვის სასურველ თანამდებობაზე დაინიშნეთ, პირველ რიგში, კარგი უნარ-ჩვევების გამოვლენა, კოლექტიური მუშაობის უნარი და დიპლომატიკური უნარებია.

"მე მინდა, მაღლობა გადავხადო ჩემს წინამორბედს ამ პროცესის დაწყებისთვის. ჩვენ ხელს მალე თბილისში მივიღებთ იმ საჯარო



გაზრდა A2 გაზრდა

ევროკავშირის წევრი 7 კვანის პრეზიდენტობის ერთობლივი სტატია

ხათუნა ბაზივა

ასოციაცია "EU Observer"-ის თანახმად, გერმანიის, ავსტრიის, იტალიის, ფინეთის, პოლონეთის, პორტუგალიისა და ლატვიის პრეზიდენტებმა მოამზადეს ერთობლივი სტატია, სადაც განხილულია ევროპის მომავალი და ახალი კონსტიტუციის მიღების აუცილებლობა. ეს სტატია 15 ივლისს ზემოაღნიშნული ქვეყნების უმთავრეს გაზეთებში დაიბეჭდა.

"დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ევროპის პოლიტიკის მიმართ ნდობის გამყარებაა... არ არსებობს არავითარი საფუძველი ევროპულ პროექტში ეჭვის შეტანისა," - ნათქვამია სტატიაში.

გაზრდა A3 გაზრდა



კეთილდღეობა. მშვიდობა. თავისუფლება. ეკონომიკური სიძლიერე - არ უნდა გაიხარკოს.

გუბერნატორები პრეზიდენტის წინაშე თავს იწონებენ

გუშინ ბათუმში საქართველოს პრეზიდენტი რეგიონების ხელმძღვანელებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილის წინაშე გუბერნატორები ერთგვარი ანგარიშით წარდგნენ. ძირითადად, საუბარი იყო იმ თემებზე, რომლებიც პრეზიდენტის მიერ პრიორიტეტულად არის გამოცხადებული.

სკოლებისა და საავადმყოფოების შეკეთება, ფასადების შეღებვა, სპორტული მოედნების მშენებლობა - პრეზიდენტის განწყობას გუბერნატორებმა, როგორც ჩანს, კარგად აუღეს ალღო და ეს საკითხები დეტალურად მიმოიხილეს. მეტი თვალსაზრისით, დიდ ეკრანში აჩვენებდნენ სლოგანებს, თუ როგორ გამოიყურებოდა ესა თუ ის ობიექტი რემონტამდე და რემონტის შემდეგ.

რწმუნებულთა სიტყვაუბოების მიუხედავად, რამდენიმესათიანი შეხვედრის დროს არ დასახელებულა რაიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მართვების კონკრეტული ციფრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე არსებული სიმწიფეები, მწირი ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების წყაროები...

გუბერნატორებმა პრეზიდენტის წინაშე ისეთი სურათი დახატეს, თითქოს ისინი, საქართველოს კი არა, რომელიმე მაღალგანვითარებული ქვეყნის რეგიონული თავმჯდომარე იყვნენ.

პრეზიდენტისთვის თავის მონიშვნის სურვილს კურორტების გარეშე არ ჩაუვლია.

"ოზურგეთში გაზი არის?" - დაინტერესდა სააკაშვილი, როდესაც გურიის მხარის ახალი გუბერნატორის მოხსენებას ისმენდა.

"ჯერ არ არის, მაგრამ მალე იქნება," - უპასუხეს პრეზიდენტს. "მოიცა, მოიცა, გახსადენი მე გამახსენებინეთ და ბუნებრივი აირი ხელახლა შეგყავთ?" - გაოცდა სააკაშვილი.

"ძველი ცუდად იყო გაყვანილი და დამატებითი სამუშაოების ჩატარება გვინდობს," - "აუხსენს" პრეზიდენტს.

გუბერნატორებს ქუჩებისა თუ დასახლებების სახელებზეც ემსახურებოდათ. "ძეგლის ქუჩა", "პიონერთა სასახლე", - ძველი სახელები ჯერ კიდევ მტკიცედ არის ჩაბეჭდილი მათ ცნობიერებაში...

გაზრდა A2 გაზრდა

ცხინვალში დაცხადებულ პროპოზიციები ხდება

სამხრეთ ოსეთში ვითარება 29 მაისიდან დაიძაბა, მას შემდეგ, რაც სოფელ თამარაშენთან მომხდარი შეტაკების შედეგად, ოთხი ოსი და ერთი ქართველი პოლიციელი გარდაიცვალა. ამ ინციდენტს 6 ივნისს, კონფლიქტის ზონიდან ოთხი ქართველის გაუჩინარება მოჰყვა. მათი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. ამ უკანასკნელი ინციდენტის შემდეგ, გაუჩინარებულთა ნათესავებმა, ძეგლის ოპერაციების გაძლიერების მოთხოვნით, კონფლიქტის ზონის ცენტრალური გზები გადაკეტეს.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ხაინდრავას მოსაზრებით, კონფლიქტის ზონაში "გეგმაზომიერად ხდება დაცხადების ესკალაცია გარკვეული ძალების მიერ," და მას მხედველობაში რუსული მხარე უქონდა. "სიტუაცია ჩვენი მტრების მიერ დანერგილი სცენარის მიხედვით ვითარდება," - ამბობს იგი.

ხაინდრავას განცხადებით, 29 მაისის და 6 ივნისის ინციდენტები "კარგად დაგეგმილი პროვოკაციის ნაწილია," რომელიც მიზნად ისახავს დაცხადების ზრდას კონფლიქტის ზონის ადგილობრივ მოსახლეობაში.

"ჩვენ ველოდით მოვლენების ამგვარ განვითარებას, განსაკუ-

თრებით მას შემდეგ რაც რუსეთმა ტოტალური კონტროლი დაამყარა სამხრეთ ოსეთში თავის ოფიციალური პირების დანიშვნით," - აღნიშნა გოგა ხაინდრავამ. იგი გულისხმობდა რუსეთის მოქალაქის, იური მოროზოვის დანიშვნას თვითგამოცხადებული რეგიონის პრემიერ-მინისტრად.

"მე აბსოლუტურად მესმის იმ ოთხი ქართველის ნათესავებისა, რომლებიც ერთ თვეზე მეტია, დიკარგნენ. არაფერი იცინა გაუჩინარებულების ბედის შესახებ," - ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა და დასძინა, რომ იგი გამორიცხავს, თითქოს ეს ოთხი ადამიანი 29 მაისს მომხდარი ინციდენტის შურისძიების მიზნით გაიტაცეს.

გაზრდა A2 გაზრდა

საბანკო კრიზისი არ მდებარე

ფარავ აფხაზი
სოხუმიდან

ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ 1 ივლისიდან რუსეთის ბანკებში შესაძლოა აფხაზური ბანკების საკრედიტო ფუნქციონირება დაიწყოს, აფხაზეთის ნაციონალური ბანკის ყოფილი ხელმძღვანელის ემა ტანაის თქმით, აფხაზეთში რუსეთის არც ერთი ბანკი არ მუშაობს, რამდენადაც ასეთი რამ, ადგილობრივი კანონმდებლობით, გათვალისწინებული არ არის. რუსულ ბანკებთან აფხაზური ბანკების თანამშრომლობა რამდენიმე საბანკო პროექტის ფარგლებში წარმოებს და აფხაზეთში შემოიღო ან აქედან გამავალ ყველა ფინანსურ ნაქვადს მხოლოდ ადგილობრივი ბანკები ემსახურებინათ.

რუსეთში აფხაზეთის ბანკების საკრედიტო ფუნქციონირების დაწყებას რეალურად შეუძლია, რესპუბლიკის ფინანსური სისტემა კოლაფსურ მდგომარეობაში ჩააგდოს.

გაზრდა A2 გაზრდა

ბაზარნათორები პრაზიდენტის წინაშე თავს იწონებენ

პირველი ბაზარიდან

განსაზღვრული იყო, რომ თითოეულ გუბერნატორს ათ-ათი წუთი ესაუბრა, მაგრამ დროში ევრაზიე ჩაეტყდა და რეგლამენტს ყველამ გადაჭარბა. პრეზიდენტი კი გუშინ "აქტიური მსმენელი" როლით შემოიფარგლა - მომსვენებელს კითხვებს უსვამდა, საკითხებს აზუსტებდა და ხანდახან, რეპლიკებს ისროდა. თითოეული გუბერნატორისგან ის კატეგორიულად მოითხოვდა მათზე "მინდობილი" რეგიონებისა და ადმინისტრაციული ცენტრების გამოცხლებას.

"ზუგდიდი მჭევრავ ადმინისტრაციული ცენტრი უნდა გახდეს. იგი აფხაზეთთან მოსაზღვრე რაიონია, ამიტომაც სამეგრელოში ადმინისტრაციული სამსახური აქტიურად უნდა გაიშალოს," - ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა კახა არდიაშ სამეგრელოს რეგიონში განხორციელებული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარადგინა.

პრეზიდენტმა, აგრეთვე, რეგიონებში არსებული ყველა კონოთაქტის (რომლებიც ამჟამად "ქართულ ფოლმს" ეკუთვნის) სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებას მოითხოვა. "არავის უნდა, რეზო ჩხეიძეს აწყენინოს, მაგრამ კონოთაქტები მოგვეცეს. ისინი სახელმწიფოს, და არა ერთი ჯგუფის, საკუთრებაა", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, როგორც მთავრობის, ასევე რეგიონული მმართველობის პრიორიტეტებად გზები და ენერგეტიკა უნდა დარჩეს. მან განაცხადა, რომ, არსებული ინფორმაციით, რუსეთი უახლოეს მომავალში ბუნებრივ აირს გააძვირებს. "ეს ჩვენი ეკონომიკისთვის დიდი გამოცდა იქნება, მაგრამ ამას უნდა გავუმძლიოთ," - აღნიშნა სააკაშვილმა.

"შე არ ვარ კმაყოფილი," - ასე შეაჯამა რწმუნებულებთან შეხვედრა პრეზიდენტმა, თუმცა შენიშვნები რომელიმე რეგიონის ხელმძღვანელისთვის არ გამოუთქვამს. მისი თქმით, გაკეთებული "იმის მეათედია, რაც საქართველოს სჭირდება," და "თვითკმაყოფილები სარკეში არ უნდა ვიყურობოდეთ."

მან რეგიონების ხელმძღვანელებს, გზების მშენებლობისა და რეგულირების პრობლემების მოგვარებასთან ერთად, "კორუფციანე განსაკუთრებული კონტროლი" დაავალა.

24 საათი

ცხინვალში დაძაბულობის პროვოცირება ხდება

პირველი ბაზარიდან

ხაინდრავას თქმით, მოსკოვის მერიის მიერ სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა, რომელიც სამხედრო აღჭურვილობასაც შეიცავდა, ასევე ამ პროვოკაციის ნაწილია. "მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი პროტესტისა, რუსულმა მხარემ მაინც გამოავაზნა სამხრეთ ოსეთში ტვირთი, რომელიც შეიცავს სამხედრო აღჭურვილობას - საველე სამზარეულოებს, ფორმებს, და სხვა," - განაცხადა ხაინდრავამ.

14-16 ივლისს კონფლიქტის ზონის ადგილობრივმა მოსახლე-

ობამ, რომელთა ძირითადი ნაწილი ივნისს ცხინვალთან გაუჩინარებული ექვსი ქართველის ნათესავები არიან, ცხინვალისკენ მიმავალი გზის ბლოკირება მოახდინა გაუჩინარებული ქართველების სამხედრო ღონისძიებების გააქტიურების მოთხოვნით. 14 ივლისს, აქციის მონაწილეებთან შეხვედრად მიმავალი გიორგი ხაინდრავას თანდასწრებით, ერთი გაუჩინარებული პიროვნების ძმამ ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღიდან პაერში ცეცხლი გახსნა. მოგვიანებით, მან ეს ნაბიჯი ხაინდრავასადმი მისი უნდობლობის გამოხატულებად შეაფასა.

24 საათი

საბანკო კრიზისი არ შედგა

პირველი ბაზარიდან

აფხაზეთში ფინანსური სახსრების შემოსვლა ამ ანგარიშების მუშაობაზეა დამოკიდებული. მით უმეტეს, ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება იმის გამო, რომ საკურორტო სეზონში ტურისტული კომპლექსების მთელი ფულადი შემოსავლები პირდაპირ კაშმირშია ადგილობრივი ბანკების ნორმალურ მუშაობასთან.

საფრთხის ქვეშ დადგება საინვესტიციო პროექტები, აფხაზ პენსიონერებს გაეყენებათ რუსული პენსიები. 1 ივლისის დადგომის წინ, ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებში დახატული იყო ის საშინელი სურათი, რომელიც, საკორესპონდენტო ანგარიშების დახურვის შემთხვევაში, ქვეყნის ეკონომიკაში შეიქმნებოდა. ვნებათაღელვას კიდევ უფრო აძლიერებდა აფხაზეთის ხაიკონალური ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელის, ემა ტანაის განცხადებები იმის შესახებ, რომ პრობ-

ლემას მთავრობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს და კრიზისის მოგვარების მიზნით გამართულ მოლაპარაკებებში აფხაზეთის საბანკო სექტორის წარმომადგენლები არ მონაწილეობენ.

თუმცა, მთავრობამ და აფხაზეთის უმსხვილესი კომერციული ბანკის - "აფხაზია-გარანტ-ბანკის" - მენეჯმენტმა საოცარი სიმძვიდე გამოიჩინა. როგორც გაირკვა, რუსეთის ბანკებთან არანაირი მოლაპარაკებები არ წარმოებდა, რადგან ცნობილი იყო, რომ ანგარიშების დახურვა არ მოხდებოდა. აფხაზეთის ნაციონალური ბანკის ერთ-ერთი ხელმძღვანელის აზრით, ასეთ სექპტივიზმს ემა ტანაი მხოლოდ იმიტომ გამოხატავდა, რომ თანამდებობა ვერ შეინარჩუნა. "სინამდვილეში, ჯერ კიდევ 1 ივლისის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, როგორც მთავრობაში, ისე კომერციულ ბანკებში, ზუსტად იცოდნენ, რომ არანაირი ანგარიშების დახურვა არ მოხდებოდა," - აცხადებს ბანკირი.

კონკურსი დაიწყო

მერიის ახალ თანამშრომლებს ვერავინ გაათავისუფლებს

პირველი ბაზარიდან

სამსახურს, რომელიც ორიენტირებული იქნება ჩვენი მოქალაქეების პრობლემატიკაზე. არც ერთ უწყებას საქართველოში ასეთი მასშტაბური ცვლილება არ უწარმოებია. მინდა ვთხოვო კომისიის წევრებს, რომ რაც შეიძლება მალე დასარულონ გარდაამალი ეტაპი. ამიერიდან, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, იგი საჯარო მოსამსახურეს, რომელიც ასეთი გამჭვირვალე პრინციპით არის დანიშნული, ვერ გაათავისუფლებს. ამ ხალხზე კანონით გათვალისწინებული ყველა დაზღვევა გავრცელებულია," - ასეთი განცხადება გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ მას შემდეგ გააკეთა, რაც საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიაში" რეგისტრაციის სისტემა თავად მონაზულა.

მერიის თქმით, მერიის ყველა სამსახური რეორგანიზაციის ექვემდებარება. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა კი შემდეგი საბუთები უნდა წარმოადგინონ:

1. წერილობითი განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე,
2. ავტობიოგრაფია დადგენილი ფორმის შესაბამისად,
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მონიშნა და მისი ასლი,
4. შრომის წიგნაკი და მისი ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში),
5. ორი ფოტოსურათი 3:4,
6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი.

არსებული ვაკანსიების ჩამონათვალი, კონკურსის თემატიკა და პროგრამა, ასევე, სხვა დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიაში" მეთერთმეტე



პავლიონში, ან ვებ-გვერდზე www.tbilisi.gov.ge. კონკურსთან დაკავშირებით თქვენს კითხვებს 24 საათის განმავლობაში უპასუხებს ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს ცხელი ხაზი: 93 38 38; 93 38 39.

საბუთების მიღება 18 ივლისიდან თვის ბოლომდე გასტანს, რის შემდეგაც ორეტაპიანი კონკურსი ჩატარდება. 15 ავგისტოსთვის დაიწყება ტესტირება და შემდეგ იქნება ზეპირი გასაუბრება. უგულავას თქმით, 15 სექტემბრისთვის თბილისის მერიის ტექნიკური ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიაში" მეთერთმეტე

ფაქსი იქნება.

თითოეულ ვაკანსიაზე განვირლია კრიტერიუმები, რისი დამაკმაყოფილებელი შემთხვევაც, მსურველს შეეძლება ტესტირებაში მონაწილეობის მიღება. მერიის ყველა თანამშრომელს, რომლებიც ამჟამად მოვალეობის შემსრულებლები არიან, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ, თუმცა პრივილეგიებით არ ისარგებლებენ.

თუ ვინ უხელმძღვანელებს საკონკურსო-სატესტაციო კომისიას, ჯერჯერობით გაურკვეველად იყავს. თუმცა, ამ თანამდებობას, ზურაბ ჭიაბერაშვილის ტიტული მიგრაციისგან თავისუფალი იქნება.

უხელმძღვანელებს.

თბილისის ახლად დანიშნულმა მერმა თავისი წინამორბედის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია არ დაარღვია და გუშინ, ცოლ-შვილთან ერთად, რუსთაველზე მოწყობილ სახალხო სეირნობაში მიიღო მონაწილეობა. უგულავას თქმით, "ჭიაბერაშვილისეულ" სეირნობას კიდევ ერთი სიახლე დამატება. ამიერიდან, მოქალაქეებთან ერთად, სახალხო სეირნობაში საპრეზიდენტო ახალგაზრდული პროგრამის "პატრიოტის" მონაწილეები და რეზერვისტებიც ჩაერთვებიან. რა ფორმით და როდის, ჯერ გაურკვეველია.

საქართველოს იტალიაში TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

მოსკოვი (ფიქსირებულ ტელეფონებზე)

რუსეთი

ამერიკა

ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონებზე)

ფიქსირებული ტელეფონიდან

მობილურზე (საქართველოში, თბილისის ფარგლებში)

საქართველოს რეგიონები

რუსთაველის ბაზ. 31 ტელ.: 442828

22თ.

25თ.

25თ.

12თ.

8-10

www.telecom.ge

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა პროექტის "ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის" (00032280) ფარგლებში აცხადებს ლია ტენდერს ჰიდრო ელექტროსადგურის ედისი 2 დარჩენილი სამუშაოების შესრულებაზე.



ტენდერის დეტალური პირობები შესაძლებელია ჩამოიტვირთოს გაეროს განვითარების პროგრამის ოფიციალური ვებ-გვერდიდან:

www.undp.org.ge/News/tenders.html.

ყურადღება: კონკურსი

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (MOT)* და ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაცია (მტფ) საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის აცხადებენ ეროვნულ (ნაციონალურ) კონკურსს თემაზე: "თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები შრომის ბაზარზე"

კონკურსზე მიიღება მასალები რომლებიც ეხება მამაკაცების და ქალების შრომით დასაქმებას, მათ სამუშაო ადგილებზე ფარულ და ცხად დისკრიმინაციას, არაფორმალური ეკონომიკის პრობლემებს, სოციალურ დაცვას, სამსახურეობრივი და ოჯახური ვალდებულებების შეთავსებას, დედობის დაცვას.

MOT - ის მასალები ამ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ - www.ilo.ru/gender კონკურსში მონაწილეობისათვის მონეულნი არიან პროფესიონალი ჟურნალისტები და ლიტერატორები, (ეროვნული), რეგიონალური და დედაქალაქის მედიის თანამშრომლები: პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტ-გამოცემების წარმომადგენლები.

კონკურსის ყოური ლეზულები განხილვისათვის პუბლიკაციების ორიგინალებს და ას-

ლებს, აგრეთვე სატელევიზიო და რადიო გადაცემების ვიდეო (VHS ფორმატში) და აუდიოჩანაწერებს, რომლებიც გაცივდნენ ეთერში ან გამოქვეყნებულ იქნენ 2005 წლის 1 იანვრიდან 15 სექტემბრამდე. მიიღება ნებისმიერი მოცულობისა და ყველა ჟანრის მასალები. საუკეთესო ნაშუქმეცების ავტორები დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიებით და ფასიანი საჩუქრებით.

მასალების წარმოდგენის ბოლო ვადაა ა.წ. 20 სექტემბერი, მისამართი: ქ. თბილისი, ჭოველიძის ქ. 10, ფონდი "ლია საზოგადოება - საქართველოს" ოფისი, ტელეფონი: 25-04-63; 25-05-92, ელ.ფოსტა: iraki@osgf.ge.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მიმართეთ ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის გენდერულ კოორდინატორს შემდეგ ტელეფონზე: (095) 201-2146; azh@gdf.ru

MOT* - გაეროს სპეციალიზირებული სააგენტო, რომლის მიზანია სოციალური სამართლიანობის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და შრომითი უფლებების სფეროში.

ბანახლელი სამარშრუტო საქმა "მარშრუტკაზის" სასარგებლოდ

ნანა კადაგიშვილი

ერთ თვეზე მეტი არ გასულა მას შემდეგ, რაც თბილისის მთავრობამ საზოგადოებას სატრანსპორტო სქემა გააცნო და განაცხადა, რომ სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა 3 ათასით შემცირდებოდა. თუმცა, აღნიშნული სქემის საკრებულოში წარდგენის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. გარკვეული მიზეზების გამო, დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსების რიცხვი, ალბათ, აღარ შემცირდება.

ახალ სატრანსპორტო სქემაზე საუბარი ქალაქის მთავრობამ ჯერ კიდევ ორი წლის წინ დაიწყო, რადგან 2004 წლის პირველ იანვარს, სამარშრუტო ტაქსების გადამზიდავ ფორმებს სატენდერო ვადა გაუვლიდა. თუმცა, ქალაქის ხელმძღვანელობისა და, შესაბამისად, მათი ინტერეს-შეხვედრების ხშირი ცვლილების გამო, ეს საქმე დღემდე ვერ მიიყვანეს ბოლომდე. ქალაქის უკანასკნელი მთავრობა სქემის შემუშავების გაჭიანურების მიზეზად ავტობუსების შემოყვანას ასახელებდა. ჯერ ავტობუსებს შემოვიყვანთ და იმის მიხედვით გადავწყვეტთ, რამდენი სამარშრუტო ტაქსი დავტოვოთ, აცხადებდნენ მთავრობაში. ერთი თვის წინათ, სამარშრუტო სქემის საბოლოო ვარიანტი, როგორც იქნა, ჩამოყალიბდა და მთავრობის სტიმონაზეც განიხილეს. ერთ-ერთი მთავარი, რასაც ეს სქემა ითვალისწინებდა, ის იყო, რომ სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა 5 ათასიდან 2 ათასამდე უნდა შემცირებულიყო და დარჩენილი "მარშრუტკები" ქალაქის ცენტრიდან გარეუბნებში გადანაწილებულიყო. როგორც თბილისის ვიცე-პრემიერმა კახა სიხარულიძემ განვითხებად, მან მთავრობამ სქემა მოინახა და საკრებულოს გადაუგზავნა განსახილველად. თუმცა, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის სქემა მალევე დაუბრუნდა უკან. დღეს კი საზოგადოებამ დევს სატრანსპორტო სქემის ახალი ვარიანტი, რომელიც სამარშრუტო ტაქსების შემცირებას აღარ ითვალისწინებს.

როგორც საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში (სადაც ქალაქის სატრანსპორტო სქემა წარადგინეს) განმარტეს, სქემა დასამუშავებელი იყო და ტრანსპორტის სამსახურს უკან იმიტომ დაუბრუნეს. თუმცა, კულუარებში სულ სხვაგვარ განმარტებებს იძლევიან. ფრაქცია "ლეიბორისტების" თავმჯდომარე გიორგი გუგავა კი "არაკულუარულადაც" აცხადებს, რომ სატრანსპორტო სქემის პირველი ვარიანტით ქალაქის მთავრობმა ნიადაგი მოსწავა, "თორემ სამარშრუტო ტაქსებს ვინ შეამცირებს, აქ ხელისუფლების უამრავი წარმომადგენლის ინტერესი დევს. უზარმაზარი შავი ფული ტრიალებს, 5 ათასი "მარშრუტკიდან" მხოლოდ 3 ათასია რეგისტრირებული, დღემდე 100-150 ათასი მაინც კედობა," - ამბობს გუგავა. კონკრეტული გვარების დასახელებისგან კი ისიც თავს იკავებს, რადგან იმის დამტკიცება, რომ პარლამენტის ან საკრებულოს წევრი სამარშრუტო ხაზების მფლობელია, არც ისე იოლია. როგორც წესი, ოფიციალურად მათი გვარები არასდ ფიქსირდება. თუმცა, ერთდერით გვარი, რომლის დასახელებასაც გუგავა არ ერიდება, კოხა ბექაური, - ეს ხომ ისედაც ყველასთვის ცნობილია.

ასე რომ, საკრებულოს უახლოეს მომავალში წარედგინება სატრანსპორტო სქემის მეორე ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ქალაქში არსებული სამარშრუტო ტაქსები აღარ შემცირდება, "მარშრუტკებისა" მხოლოდ რუსთაველის ჩამოხრის გათავისუფლება. თუმცა, როგორც ქალაქის ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე აცხადებს, ქალაქის ხელმძღვანელობას არც ავტობუსების ჩამოყვანა გადაუფიქრებია. "სექტემბრისთვის თბილისში 450 ავტობუსი იმდროავს. სამარშრუტო ტაქსების ზედს კი ბაზარი გადაწვევს," - აცხადებს ჩიკვილაძე.

თვალსაზრისი

ხარაპანდადიანი შტირლიცაზი

ნოღარ ლადარია

არის ერთი ახალი რუსული ანეკდოტი: გზაჯვარედინზე გაჩერებულ შავ "ვოლგას" უკნიდან ძვირფასი "შერსედესი" შეასკვდება. იქიდან, გავემუზული ახალი რუსი გამოვარდება და უშვებულებო ქანჩის გასაღებით საქარე მინას ჩაუმსვრევებს "ვოლგას", მაგრამ ხელში უმიშროების ოფიცერი შეჩრჩება. საზეშეცვლილი ახალი რუსი არ იბნევა: ამხანაგო პოლკოვნიკო, კაუუნით თავი მოვიკალი, თქვენ კი არ მიღებთ... ფული სად დავდო?

— ეს ანეკდოტი კი არა, ცხოვრება, — სევდიანად შეინძავს ექვტორ პეღვენინს რომანის გმირი.

როგორც ტყუილა, ეს ქვეშარიტება მოსკოვის საპატრიარქოშიც ესმით. საავტენტო "ინტერფაქსის" ცნობით, 11 იელის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, **ალექსი მეორემ** ნმინდა სრგი რადიოენცელის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა რუსეთის საგარეო დაზერვის დირექტორი, **სერგეი ლუბევევი**. დაჯილდოების მოტივაცია შემდეგი იყო: ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის უფიოერ-თობათა განვითარებაში შეტანილი

წვლილისთვის. მსგავს პატივს ეზიარა რუსული უმიშროების მეფე, **ნიკოლოზ პატრუმევი**, რომელიც დიმიტრი დონოვის ორდენით დაჯილდოდა. "იდექით ყარაულში და ღმერთი შეგეწოთ!" — დალოცვა პატრიარქმა ახალდაჯილდოებულნი.

იგივე საავტენტო გვაუწყებს, რომ მოვლენას გამოეხმაურა რუსეთის "მართლმადიდებელ მოქალაქეთა კავშირი": **"რუსეთის საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელისთვის მაღალი საეკლესიო ჯილდოს გადაცემა მონწიბის, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას ერთი და იგივე პოზიცია აქვთ რუსეთის ინტერესების დაცვის საქმეში"**. მაგრამ ამ ზოგადი ფრასეოლოგიით არ ამოიწრება კავშირის განცხადება. შემდეგ მასში ვკითხულობთ: **"ეკლესიისა და ანალიტიკური სტრუქტურების ამოცანები მრავალგან იკვეთება, რადგან მართლმადიდებლობის ინტერესები რუსეთის ინტერესებია"**.

უფრო ქვემოთ დოკუმენტი აკონერტებს: **"რუსეთის დესუერენიზაციაში არატრადიციულ კონფესიათა რელიგიურ-პოლიტიკურ ექსპანსიას საკანძო დგდით უჭირავს ...რუსული ისლამი, კათოლიკური პროზელიტიზმი — ეს თვით რუსეთის წი-**

ნააღმდეგ გამონევეაა, რომელიც უნდა აღიკვეთოს ... მართლმადიდებელი სამყაროს როგორც მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტის კონსოლიდაცია, მთელ მსოფლიოში მართლმადიდებლობის განმტკიცება რუსეთისთვის უზნიშვნელოვანესი ამოცანაა, რადგან მართლმადიდებლობაში მოსული ადამიანები ბუნებრივად ზდებიან რუსეთის ... მსოფლიო მართლმადიდებლობის ლიდერის მეგობრები".

იქნებ ჩვენს გარშემო სინამდვილეშიც მოიძებნება რუსი მზევარავების კვალი? აი, მაგალითად, რა სულისკეთებას ავრცელებს საქართველოს ექნტრალური პრესის ერთ-ერთი წარმომადგენელი, როცა ბოდბის დამხმარე სკოლა-ინტერნატზე მოგვიხიზრობს, სადაც მშობნას ზრუნვას მოკლებული და უწარმუზღუდელი ბავშვები სწავლობენ,რომელთაც სტატიის ავტორი გონებრივად ჩამორჩენილებს" უწოდებს: **"უნდა ითქვას, რომ ბოდბეში ჩასუღებმა ერთი სავალალო ამბავი გაეცინა. სამედიცინო შემოწმების დროს ექიმებმა ერთ-ერთ ბავშვს უცხო გულსაკიდი შეინშეს. გაიკეცა, რომ სკოლა-ინტერნატს ხშირად სტუმრებს პაპისტიურ ეკლესიის წარმომადგენელი მა-**

ლზაზ სონულუაშვილი, რომელმაც თურმე რამდენიმე ბავშვი თბილისში ჩამოიყვანა და მართლმადიდებლობისთვის მიუღებელი წესით მონათლა. ორ ბავშვს კი სახლი შეუძინა სიღნაღის რაიონის სოფელ მღაღაროში და ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნაინდროვანში. ევთანხმებით ბოდბის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორს, რომ ეს სიკეთეა, მაგრამ პაპისტური ეკლესიის გავლენის ქვეშ პატარების მოქცევას, ჩვენი აზრით, არანაირი გამართლება არ მოეძებნება" (თამარ შაიშმელაშვილი, *"ფსევბი"* პატარებს ეზმარებიან, *ბავშვთა სულებს* კი პაპისტები ეპატრონებიან, "საქართველოს რესპუბლიკა" N 162, კვირა, 10 ივლისი, 2005 წელი). თურმე ქველმოქმედებასავალყო ამბავი ყოფილა, ქართველების რელიგიური ნიშნით დაპირისპირება კი კეთილი საქმე.

მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ჩვენი ქედგაღმელი მეგობრების წვლილი. საქართველოს პრეზიდენტის აღმინისტრაციის ერთმა თანამშრომელმა ჩემთან პირად საუბარში გაჰმანდ, რომ საქართველოს საპატრიარქოში საქმოდ აქტიური პოზიცია უჭირავთ საქართველოდან რუსეთის ბავშვის გაყვანის წინააღმდეგ. თურ-

მე, განსაკუთრებული სიმძაფრით იბრძვის რუსული სამხედრო მონაწილეობის შესწარწუნებლად ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარებისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა).

შევაჯამოთ: საქართველოში ქართული ცენტრალური მედიის ზოგიერთი სუბიექტი ქადაგებს შეუწყნარებლობასა და ძირს უთხრის ქართველი ერის ერთიან პოლიტიკურ ინტერესებს, სამშედველობის ზოგიერთი წარმომადგენელი რუსეთის სასარგებლოდ ეწინააღმდეგება ქართული სახელმწიფოს პოლიტიკას, მაღალი სახელმწიფო მოხელეები ერიდებიან ამაზე ხმადაღლა ლაპარაკს და მხოლოდ ეკრძო საუბრებში ამხელენ სიმართლეს, ის უწყებანი კი, რომელთაც საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ავალიათ, ყურს არ იბერტყავენ, ან უსაშველოდ იზღაზნებინან.

რა უნდა თქვას კაცმა: ნამდვილად დამსახურებულად მიიღეს რუსმა შტირლიცებმა მაღალი საეკლესიო ორდენები? მაგრამ არანაკლებად დამსახურებული იქნება, თუ სულ მალე იმავე კონტექსტში და იმავე დამსახურებისთვის **ვანო მერაბიშვილი** მიიღებს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქისაგან წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენს.

ახსოვარი

ევროკავშირის წევრი 7 ქვეყნის პრაიდატაზის ისტოოზლივი სტატია

პირველი გავრდიოან

ევროპული პროექტის მხარდასაჭერად გაერთიანებული პრეზიდენტების წერილი გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუციის რატიფიცირებასთან დაკავშირებით ევროკავშირის ლიდერთა საგანგებო სამიტის ჩატარებიდან ერთი თვის შემდეგ.

"ახალი კონსტიტუციის მიზანი - სამართლებრივი ინსტიტუტების მოქალაქეებთან დაახლოება, ტრანსპარენტულობის, დემოკრატიკაისა და ეფექტიანობის ხარისხის ზრდა, კვლავ აქტუალურია," - აღნიშნავენ პრეზიდენტები.

მათი თქმით, "ევროპისათვის რთული პერიოდის" მიუხედავად, ის, რაც ევროკავშირს ხანგრძლივი შრომის შედეგად აქვს მოპოვებული, კერძოდ - კეთილდღეობა, მშვიდობა, თავისუფლება, ეკონომიკური სიძლიერე - არ უნდა გაიხარჯოს. სწორედ ამგვარი ფასეულობების დაცვისა და განვითარების მიზნითაა საჭირო ევროკავშირის დემოკრატიულობის, ტრანსპარენტულობისა და



შეთანხმება ცაცხლის პენყვატის შესახებ დარღვეულია

ნანა ნასყიდაშვილი

ახლო აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქტის ახალი ეტაპი დაიწყო. მდგომარეობა პალესტინელ-პალესტინურ-იორდინთა მიერ ისრაელის ტერიტორიებზე გასულ კვირას განხორციელებული იერიშების შედეგად დაიძაბა. ისრაელის მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფის საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის განცხადებით, ისრაელი მკაცრი ზომების მიღებას აპირებს. იმ შემთხვევაში, თუ პალესტინის ხელისუფლება შეიარაღებულ თავდასხმათა აღკვეთის მიზნით სათანადო ზომებს არ მიმართავს, ისრაელის საგარეო ნაწილები ღაზას სექტორში

ტორში ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციის დაწყებას გეგმავენ. **"მაკშუდ აბასის აღარავის სჯერა. ღაზას სექტორში სამხედროთა გადაყვანის პროცესი, შესაძლოა, რამდენიმე საათში დაიწყოთ,"** - აღნიშნა ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა ზეევ ბოიშმა.

ცოტა ხნით ადრე, პალესტინის ლიდერმა ექსტრემისტთა ქმედებებთან დაკავშირებით შემოთხება გამოთქვა და მათ რამდენიმე თვის წინ მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების პირობათა დაცვისკენ მოუწოდა. თუმცა, აღნიშნულ გამოსვლაში აბასმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა დარღვევაში ისრაელიც დაადანაშაულა.

ისრაელის ხელისუფლებამ შეიარაღებულ თავდასხმათა საპასუხოდ, მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე პალესტინის სამ ქალაქში სამხედრო რეიდი ჩატარა და ექსტრემისტულ დაჯგუფებათა - "ჰამასი"-სა და "ისლამური ჯიჰადი"-ს 26 წევრი დააკავა. ისრაელის სამხედროთა მიერ ღაზას სექტორში განხორციელებული საპაერო დარტყმების შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 4 "ჰამასი"-ს წევრია. კვირას დილით კი პალესტინის ოფიციალურ წყაროთა მიერ გაეროცემული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული ოპერაციის შედეგად დაჯგუფებმა "ჰამასი"-ს ერთ-ერთი ლიდერი, 31 წლის საედ სიმი გარდაიცვალა. ექსტრემისტ სწების განმეა-

ლობაში დაჯგუფების მიერ განხორციელებულ სხვადასხვა შეიარაღებულ თავდასხმებში აქტიურად მონაწილეობდა.

ამჟამად ისრაელის ხელისუფლება ახალ იერიშთა განხორციელებისთვის ემზადება. პოლიტიკოსები ღაზას სექტორში ინტერვენციის შესაძლებლობას არ გამოირიცხავენ. **"ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ არ მოხდება უახლოეს საათებში,"** - აღნიშნა ისრაელის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ.

დასავლეთი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებს თვალს. აშშ ისრაელსა და პალესტინას შორის რამდენიმე თვის წინ გაფორმებულ ხელშეკრულებას

აღნიშნულ რეგიონში დადებითი ცვლილებების გარანტიად განიხილავდა. თუმცა, როგორც მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, მხარეებს შორის წლების განმავლობაში არსებულ შეიარაღებულ დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს.

ოფიციალურ გამოცემტრს კვლავ მოუწევს გარკვეული ძალისხმევის გაწევა რეგიონში მდგომარეობის გამწვანების თოიდან აცილების მიზნით. გასულ კვირას განვითარებულ მოვლენებზე ბუშის ადმინისტრაციამ რეაგირება უკვე მოახდინა და აშშ-ს სახელმწიფო მდიანმა კონდოლანცა რაისმა დაუგეგმავი ვიზიტის ფარგლებში, ისრაელსა და პალესტინის ავტონომიაში უახლოეს მომავალში ჩასვლის შესახებ განაცხადა.

აღნიშნულ რეგიონში დადებითი ცვლილებების გარანტიად განიხილავდა. თუმცა, როგორც მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, მხარეებს შორის წლების განმავლობაში არსებულ შეიარაღებულ დაპირისპირებას ბოლო არ უჩანს. ოფიციალურ გამოცემტრს კვლავ მოუწევს გარკვეული ძალისხმევის გაწევა რეგიონში მდგომარეობის გამწვანების თოიდან აცილების მიზნით. გასულ კვირას განვითარებულ მოვლენებზე ბუშის ადმინისტრაციამ რეაგირება უკვე მოახდინა და აშშ-ს სახელმწიფო მდიანმა კონდოლანცა რაისმა დაუგეგმავი ვიზიტის ფარგლებში, ისრაელსა და პალესტინის ავტონომიაში უახლოეს მომავალში ჩასვლის შესახებ განაცხადა.

საბარტალი

ევროპელი ექსპერტები ქართულ ციხეებში არსებულ მდგომარეობას კვლავ საგანგაშოს უწოდებენ

რუსული საინფორმაციო საავტენტო "რია-ნოვოსტი" "ნამებასთან მეტროლი ევროპის კომიტეტის" განცხადებას აქვეყნებს. განცხადებით ქართული პენიტენციური სისტემის შესახებ არის საუბარი. **"საქართველოს ციხეებში მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ მსჯავრდებულების იქ ყოფნა წამებას უტოლდება. თბილისისა და რუსთავის საპყრობულებში კატასტროფული მდგომარეობაა და პატიმართა სიცოცხლე საფრთხეშია,"** - ნათქვამია ევროპის კომიტეტის დასკვნით მოხსენებაში.

ევროპელი ექსპერტების განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერს აკეთებს. პენიტენციურ სისტემაში განსახორციელებელი ცვლილებებისთვის რეკომენდაციები ევროპის კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2002 წელს მისცა.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია პოლიციელთა მხრიდან მსჯავრდებულთა შეწირეობასა და სისასტიკეზე, რომელიც წამებას უტოლდება. ასევე საუბარია მძიმე მატერიალურ პირობებზე, საკნების გადატვირთვასა და პერსონალის ნაკლებობაზე.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ 2003 წლის ნოემბრის შემდეგ პატიმართა რაოდენობამ მკვეთრად იმატა, რამაც სიტუაცია უფრო დაამძიმა.

ევროპის კომიტეტი გაოცებას ვერ მალავს იმის გამო, რომ თბილისის ცენტრალურ საპყრობილეში არსებობს სპეცგანყოფილებები, სადაც ზედმეტად კომერტული გარემოა. საკნებში კარგად გარემორტყული სააბაზანოები, სამზარეულოები, კონდიციონერები და ტელევიზორები აიზანმზავებული არხებით. ევროპის კომიტეტის განცხადებით, პრესტიჟულ კამერებში მქცლებული პატიმრები არიან მოთავსებული.

"საფრთხის წინაშე დგას არა მარტო ადამიანის სიცოცხლე, არამედ სიტყვის თავისუფლებაც"

სახალხო დამცველს სოზარ სუბარს კახეთის რეგიონული გაზეთის "იმედის" რედაქტორზე მომხდარი თავდასხმის ფაქტის გამოძიება პირად კონტროლირებ აქვას. **"საფრთხის წინაშე დგას არა მარტო ადამიანის სიცოცხლე, არამედ სიტყვის თავისუფლებაც,"** - ეს განცხადება იმპულსმწმნა დაზარალებული რედაქტორის მონახულებისა და მასთან საუბრის შემდეგ გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ კახეთის რეგიონული გაზეთის "იმედის" რედაქტორზე გაია მოთვლმილზე თავდასხმა თვეწახევრის განმავლობაში ორჯერ განხორციელდა. მას ჯერ საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დახვდა გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელი პიროვნება და ფიზიკურად გაუსწორდა. სამი დღის წინ კი, დაახლოებით ღამის ორ საათზე, მოთვლმიელის საცხოვრებელი სახლის ეზოში ხელი-ყუხმარა შეადგეს, რასაც აფეთქება მოჰყვა.

დაზარალებული რედაქტორი ორივე ინციდენტს ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს და აცხადებს, რომ სწორედ ბოლო პერიოდში ქვეყნდებოდა მის გაზეთში გურჯაანის რაიონის სამართალდამცველებისა და განათლების განყოფილებების თანამშრომლების მკომპრომიტირებული მასალები. გაზეთი "იმედის" რედაქტორი თბიქმის დარწმუნებულია, რომ მასზე ფიზიკური და მორალური განადგურების მცდელობა გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერლების ადრესატების დაკვეთით ხორციელდება.

კახეთის რეგიონული გაზეთის რედაქტორი გურჯაანის რაიონულ პოლიციას კვლავ უნდობლობას უცხადებს.

24 საათი

გაუფრთხილებლობით დაზიანება განზრახ მკველლობის მცდელობის მუხლით გადაკვალიფიცირდა

თბილისის ცენტრში, ჭავჭავაძის გამზირზე გუშინ მომხდარ აფეთქებაში ექვემიტანლები გამოძიებას ჯერჯერობით არ ჰყავს. შეგახსენებთ, რომ N27 კორპუსთან მდებარე ავტოფარები მაშინ აფეთქდა, როდესაც იქ მისი მფლობელი, ირაკლი წერეთელი შედიოდა. ავტოფარების მფლობელი ფეხში მძიმედ დაიჭრა. მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმების განცხადებით, ავადმყოფის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

მომხდარის დღესვე, დაზარალებული ირაკლი წერეთლის ოჯახის წევრები და ახლოლები ირწმუნებოდნენ, რომ აფეთქება ავტოფარების კარზე დამოტყაფებულმა მონოზილიზმამ გამოიწვია. წინასწარი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მუხლით აღიძრა. თუმცა, როგორც ჩვენივის გახდა ცნობილი, ის გუშინ უკვე გადაკვალიფიცირდა.

"საქმის გამოძიებისას ახალი მნიშვნელოვანი დეტალები გამოიკვეთა, რის გამოც კვალიფიკაცია შეიცვალა. საქმე გვაქვს გარზრახ მკველლობის მცდელბასთან," - აცხადებენ სამართალდამცველები. ვინ აპირებდა 52 წლის ირაკლი წერეთლის მოკვლას, გამოძიება ამის შესახებ ჯერჯერობით არაფერს ამბობს.

24 საათი

მოკლული პოლიციელის ცოლი დანვით იმეკრება

2002 წელს მოკლული, ზუგდიდის დაცვის პოლიციის უფროსის ჯემალ წარმანის ოჯახის წევრები და ახლოლები მიცვალებულის ამოთხრით იძუქრებიან. გარდაცვლილის მუულის ნარგება ნარჩენების განცხადებით, იგი მკველლობის დიდიან მოყოლებული შეზედა მინაგან საქმეთა სამინისტროს თთქმის ყველა მაალჩინოსანს. მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ ვანო მერაბიშვილის შეხედრდა.

"ამჟამინდელ მინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრას იმ მოტივით ვითხოვ, რომ მკველობაში ექვემიტანილი პირები, რომელთაცან ერთ-ერთი აღიარებითი ჩვენებით გამოცხადდა სამართალდამცველებთან, სასამართლომ, სათვითანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ, დარბაზიდან გაათავისუფლა," - აცხადებს მოკლული პოლიციელის მუულები.

ნარგება წარმანის მტკიცებით, ვინმე ბაძალუა, რომელმაც აღიარა ჯემალ წარმანის მკველლობაში მონაწილეობა და ისიც, რომ ყარაღლას ის უწევდა ორგანიზებას, სწორედ ის პიროვნებაა, ვისზეც მას თოიდანვე ეჭვი ჰქონდა.

გარდაცვლილის მუულებ აცხადებს, რომ პროკურორებთან თქვის დამოუკილებას გადაამეტა და სასამართლოსთან შეთანხმებით გაათავისუფლა მკველობაში ექვემიტანილი პირები.

"თუ ორი დღის განმავლობაში ვანო მერაბიშვილისგან პასუხს ვერ მივიღებ, მიცვალებულის ამოთხრება," - ამბობს გარდაცვლილის ქვრები და თავის დასწეთაც იმეუქრება.

ზუგდიდის დაცვის პოლიციის უფროსი ჯემალ წარმანია საკუთარ საცხოვრებელ სახლში დაახლოებით 10-მდე ნილბანმა შეიარაღებულმა პირმა წამებით მოკლა. ისინი მოითხოვდნენ 5000 დოლარს, რომელიც ნარგება წარმანის განცხადებით, მათ სახლში არ გააჩნდათ. მკველლობა მოხდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭთანწყალის ტერიტორიაზე. ჯემალ წარმანია მუულის თვალწინ ანაშეს და მოკლეს. პოლიცამ რამდენიმე დღეში დააკავა ექვემიტანილი პირები, თუმცა, ისინი ბრალდების დაუსაბუთებლობის მოტივით მალე გაათავისუფლეს.

ინტერპრესნიუსი

1500 ლარის ღირებულების "ჰერიონი" ამოიღეს

ფონიჭალაში ჩატარებული მორიგი სექცოპერაციის შედეგად სამართალდამცველებმა 1500 ლარის ღირებულების ნარკოტიკული ნივთიერება "ჰერიონი" ამოიღეს.

მაშადოვების სახლიდან ამოღებულ 10 ე.წ. "ბაშმა" დაფასობულ "ჰერიონს" სპერეზმის წევრებმა მაციერის ქვეშ მიაგნეს. დაკავებულია 20 წლის ფაზილ მაშედოვი, რომლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციისა და შენახვის მუხლით აღიძრა.

დაკავების მომენტში დამნაშავეს და მისი ოჯახის წევრებს სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ფონიჭალაში ნარკოტიკების რეალიზაციის ბრალდებით რამდენიმე პირია დაკავებული.

ინტერპრესნიუსი

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შესამინისტრო რუსეთის დაფინანსებით სპეცტექნიკით აღიჭურვა

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სპეცტექნიკითა და ავტომანქანებით შეივსა, რაც აფხაზეთში მოღვაწე რუსეთის პინესტმენტა და კრისნდარის მხარის ადმინისტრაციის უშუალო ჩარევის შედეგად განხორციელდა. ამის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანჭეაბაშმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგის სხდომაზე გააკეთა; იტყობინება "ფაქინოზისი".

ანჭეაბის თქმით, კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა სოხოუმ 5 მილიონი რუბლი გამოუყო, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 41 ავტომანქანა შეიძინეს.

აფხაზეთში მოღვაწე რუსულმა კომპანია "ნოვია ფრუქტოვია კომპანიამ" ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებს 100 ათასი აშშ დოლარი გამოუყო, ზიქვინთაში კერძო სასტუმროს მშენებლობად დაკავებულმა რუსული ფირმის "დელიონი - 2000"-ის აქციონერებმა კი, ზიქვინთის მილიციისთვის 5 "უაზი"-ს მარკის და ადმენივე მუხუბრე ავტომანქანა შეიძინეს.

ანჭეაბის განცხადებით, აფხაზური მხარე კვლავაც გააგრძელებს აფგილობრივი სოციალური ხასიათის კისთების გადჭრის მიზნით, რუსეთიდან აფხაზეთში სამოღვაწეოდ ჩამოსული ბუნებმეწიანებ მუშაობა-თანამშრომლობას.

"ნევესტრისტი ამ მიმართულებით მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნას გამოთქამენ, რადგან თავდაცვ დანტერესებული არიან რესპუბლიკაში სტაბილურობით," - თქვა ანჭეაბმა.

პრაიმ-ნუსი

ბოროტაზის იდოოლოოზიის შემოტაზა

ბრიტანეთის პოლიციამ დაასახეულა ლონდონში აფეთქებების მომწივბი ბოლო ორი თვეშიშეკვლევის ვინაობაც. ლონდონის მეტროის პოლიციის ცნობით, გამოძიებულება დაადგინეს, რომ 37 იელის აფეთქებები მოიყენა 30 წლის მოამბად სიდე ზანმა და 19 წლის ჯერმენ ლინდის. სულ ღაბა-

რაკია 4 თვითშეკვლულ ამფოთქებულზე და პირველი ორის ვინაობა უფირად რე გაიჩკვა. ესენი არიან 18 წლის პასიბ ჰუსეინი და 22 წლის შამაზედ ტანევი. ამფეთქებულებიან 3 წარმოშობით პაკისტანელია, მაგრამ ინგლისში დაბადებული და გაზრდილი, 1 ამფოთქებელი კი იამიკაში დაიბადა.

ბრიტანეთ

მოკლად

ფინანსთა სამინისტრომ გადაჭარბებით მოზილიზებული თანხების ხარკება დაიწყო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ბიუჯეტში ზედმეტად მოზილიზებული თანხების ხარჯვა დაიწყო. ივლისის პირველ ნახევარში ფინანსთა სამინისტრომ ხაზინიდან თანხები პედაგოგთა საშუალებებო ხარჯების დასაფარად, გზების რეაბილიტაციისთვის და დაჯილდინების სრულად დასაფარად გასცა. ღარის მასის მიმოიკცევაში დამატებით გაშვება ივლისში დაგეგმილი იყო. ავეისტოში ფინანსთა სამინისტრო ისევ გეგმვა-ზომიერად იმოქმედებს და ხარჯებს შეამცირებს. გუშინ ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოციოტიძემ. მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება ინფლაციურ პროცესებს არ გამოიწვევს. როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოციოტიძემ განაცხადა, ბოლო დღეებში მიმოიკცევაში თანხის დიდი მოცულობა გავიდა, თუმცა ეროვნულ ბანკს ინფლაციური პროცესების დასარეგულირებლად მონეტარული ინსტრუმენტები გააჩნია. "ზედმეტი თანხის მიმოიკცევაში გაშვებას მონეტარული ინსტრუმენტებით ვანიტირალხთ. ივლისში, მართალია, ფულის დიდი მასა გავიდა - თანხები სოციალური ხარჯების, მასწავლებელთა საშუალებები თანხების და დაჯილდინების სრულად დასაფარად გაიცა. სამაგიეროდ, ავეისტოში ნაკლები ხარჯები გაიწევა. ჩვენ ივლისსა და ავეისტოს ერთად განვიხილავთ, ამიტომ ამ მხრივ სამიშროება არ არსებობს", - განაცხადა გოციოტიძე. მისი თქმით, ივლისში საქართველოში დეფლაცია აღინიშნა. ივლისში სამიშმხარებლო ფასების ინდექსი ჯერჯერობით უცვლელა. ფასებიც სტაბილურია. "ჩვენი მზანია, რომ ინფლაციამ ერთციფრიან მაჩვენებელს - 7-8%-ს არ გადააჭარბოს, მიღწეული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ნავთობზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა", - განაცხადა გოციოტიძე. 24 საათი

ამ კვირაში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასაყიდად კიდევ რამდენიმე ობიექტს ამზადებს, მათ შორის - რამდენიმე, აუქციონზე სამინისტროს უკვე მეორედ გამოაქვს.

